



მარტი, 2007

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი**, 11 წლიანი გამოცდილებით, არის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური, წარმატებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, საზოგადოების განათლებით და მისი სამოქალაქო აქტივობის ამაღლებით, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისათვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და განვითარებას.

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიმართულებები:**

- სამართალი;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- ეფექტური სახელმწიფო მმართველობა;
- საჯარო პოლიტიკა;
- ეკონომიკური განვითარება;
- კვლევა.

თბილისი 0171,  
26 მაისის მოედანი 2, V სართული  
ტელ: (995 32) 94 16 05  
ფაქსი: (995 32) 33 04 17  
ვებ-გვერდი [www.civilin.org](http://www.civilin.org)

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით, მუშაობს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე.**

**პროექტის ზოგადი მიმოხილვა**

პროექტის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესება და ამ ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა.

სოციალურ სფეროში სახელმწიფო სოციალური ინსტიტუტების საზოგადოებრივი ზრუნვის სისტემით ჩანაცვლების პროცესი დაიწყო. სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან სახელმწიფო ყიდულობს სოციალურ მომსახურებას. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის და დაფინანსების ერთიან ეფექტურ მოდელზე.

ინსტიტუტი მუშაობს უცხოური გამოცდილების შესწავლასა და საუკეთესო პრაქტიკის მოძიებაზე. განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას ეთმობა. პარალელურად მიმდინარეობს ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დონის და მათი საარსებო გარემოს შესწავლა, რაც დაგვანახებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან სოციალური მომსახურების მიწოდების მზაობას და საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ მათი ინსტიტუციონალური განვითარებისთვის აუცილებელი მექანიზმები.

**პრიორიტეტები:**

- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს გაუმჯობესება;
- ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მონიტორინგი, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა და კანონპროექტთა პაკეტის შემუშავება-ლობირება;
- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობა;
- ხელისუფლებასა და სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;
- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირება და ქმედუნარიანი ქსელის ჩამოყალიბება;
- სამოქალაქო განათლება.

•

მიმდინარეობს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა. თუ თქვენი ორგანიზაცია ამ სფეროში მუშაობს, ან იცით ასეთი ორგანიზაციის შესახებ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია.

თბილისი 0171,  
26 მაისის მოედანი №2, სართული V.  
ტელ: (995 32) 94 16 05  
ელ-ფოსტა [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

•

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სწავლობს სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის საზღვარგეთის ქვეყნების პრაქტიკას.

ბიულეტენის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების ანალიზს, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსათვის სოციალური მომსახურების მიწოდების მოდელს ეხება.

•

ბიულეტენი თვეში ერთხელ გამოიცემა, მოგვაწოდეთ წინადადებები, ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე, ღონისძიებებზე, პუბლიკაციებზე, გამოცემებზე, რომლებიც ბიულეტენში გაშუქდება.

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

**კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:**

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია.](#)

თბილისი 0171,  
26 მაისის მოედანი 2, V სართული  
ტელ: (995 32) 94 16 05  
ფაქსი: (995 32) 33 04 17  
ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)  
ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

### საკანონმდებლო სიახლეები:

2006 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“  
([მიმოხილვა იხ. მე-4-5 გვ.](#))

**საგრანტო კონკურსი:** გაეროს ბავშვთა ფონდი აცხადებს საგრანტო კონკურსს. კონკურსი გამოავლენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ხელს შეუწყობს რაიონებსა და ქალაქებში მცხოვრები ბავშვების ცნობიერების ამაღლებას ფრინველის გრიპის პრევენციის საკითხებში. საგრანტო განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა **2007 წლის 30 მარტი**. დეტალური ინფორმაცია იხილეთ: <http://jobs.ge>

### საზოგადოებრივი ორგანიზაციების კვლევა

პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა დაიწყო სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს კვლევა.

კვლევა ტარდება ქვეყნის მასშტაბით. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება აპრილის ბოლოს და დაინტერესებულ პირებს ექნებათ მისი გაცნობის საშუალება. კვლევა აჩვენებს ამ სფეროში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ინდექსს, მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, არსებულ პრობლემებს და განვითარებისთვის აუცილებელ მექანიზმებს.

#### კვლევის მიზანი:

- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დონის შეფასება;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში მათი შემდგომი ჩართულობის პროგნოზირება;
- ამ ორგანიზაციების მხრიდან სოციალური სერვისების მიწოდების მზაობა;
- სოციალურ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მოგროვება.

### სამუშაო შეხვედრა

2 თებერვალს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა:

1. პროექტის გაცნობას სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის;
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის დიზაინის გაცნობას და შეფასების კრიტერიუმების განხილვას.



შეხვედრას ესწრებოდნენ:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის წარმომადგენლები.
- საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების – TACIS, „Every child“, „ანიკა“, „პირველი ნაბიჯი“, „ბავშვი და გარემო“, „კავშირი ადამიანებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ“ წარმომადგენლები.



შეხვედრაზე საფუძველი ჩაეყარა სამომავლო თანამშრომლობის ფორმატს. ანალოგიური შეხვედრების მოწყობა ხელს შეუწყობს სოციალური მომსახურების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადაცემის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას. მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობით ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც ეფექტურს გახდის ურთიერთთანამშრომლობას.

## კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“

საკანონმდებლო სიახლეები

2006 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკას სოციალური დახმარების სფეროში. კანონის ძირითადი ნაწილი 2008 წლის 1 სექტემბრიდან შედის ძალაში. კანონი აწესრიგებს სოციალური დახმარების მიღების საკითხებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. კანონი აგებულია შემდეგ პრინციპებზე:

- სოციალური დახმარების, როგორც საჭიროების შეფასებაზე დაფუძნებულ სახელმწიფო მხარდაჭერის, მაგრამ არა კანონით გარანტირებული უპირობო უფლების აღიარება;
- სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით სათანადო რესურსების მიზანმიმართული გადანაწილება სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ლატაკი ოჯახებზე და უსახლკარო პირებზე;
- სოციალური მომსახურების ალტერნატიული სახეების განვითარების ხელშეწყობა.

კანონი განსაზღვრავს თუ რისგან შედგება სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც მოიცავს ნებისმიერი სახის ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელს, რომელიც განკუთვნილია:

**სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის**, რომელსაც განეკუთვნებიან – ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ოჯახის მზრუნველობამოკლებული, თვითმომსახურების შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანები;

**ლატაკი ოჯახისათვის**, რომელსაც განეკუთვნებიან – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი, ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს

მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია; **უსახლკარო პირთათვის**, რომელთაც განეკუთვნებიან – მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებული არიან, როგორც უსახლკარო პირები.

კანონი ადგენს ფულადი სოციალური დახმარების შემდეგ სახეებს:

**საარსებო შემწეობა** – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ;

**საყოფაცხოვრებო სუბსიდია** – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო – კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა, მიმღებ პირთა წრე, მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

**რეინტეგრაციის შემწეობა** – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზირებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ხოლო მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ.

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

**(გაგრძელება)**

**შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურება** – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა დედობილ-მამობილს შვილობილის მოვლისა და აღზრდისათვის გაწეული შრომის ასანაზღაურებლად. შვილობილად აყვანის ანაზღაურების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი დგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ;

**სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურება** – არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა პირს, რომელიც სრულწლოვანს გაიყვანს სპეციალიზირებული დაწესებულებიდან ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და მას გაუწევს სათანადო მზრუნველობას. სრულწლოვანზე ოჯახური მზრუნველობის ანაზღაურების ოდენობასა და გაცემის პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო მისი დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

კანონს აგრეთვე შემოაქვს არაფულადი სოციალური დახმარების ცნება, რომელიც შეიძლება გაეწიოს:

- სპეციალური საჭიროების მქონე პირს;
- პრევენციის მიზნით, აგრეთვე ბავშვს ან/და მის ოჯახს, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა.

არაფულადი სოციალური მომსახურების სტანდარტები, აგრეთვე ოჯახში არსებული მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც დგინდება ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის რისკის მაჩვენებელი, განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ.

შენიშვნა : რეინტეგრაციის შემწეობასთან, შვილობილად აყვანის ანაზღაურებასთან და არაფულად სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები ძალაში შედის 2008 წლის 1 სექტემბრიდან.

კანონის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში უნდა შეიქმნას სამსახური (სააგენტო), რომელიც:

1. უზრუნველყოფს ფულადი სოციალური დახმარების ადმინისტრირებას;
  2. აწარმოებს ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას, აგრეთვე აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს;
  3. წარმოადგენს ცენტრალურ და ადგილობრივ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქართველოს ტერიტორიაზე.
  4. უზრუნველყოფს სერტიფიცირებულ სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო რეგისტრაციას.
- შენიშვნა: სააგენტოს შექმნასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები ძალაში შედის 2008 წლის 1 სექტემბრიდან.**

კანონი აგრეთვე არეგულირებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსების, ასეთი დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსების (თანადაფინანსების), სოციალური მუშაკის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას, აგრეთვე სოციალური დახმარებების დაფინანსების საკითხებს. ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების უმრავლესობა ძალაში შედის 2008 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს პარლამენტში შესული კანონპროექტები იხილეთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე:

[www.civilin.org.ge](http://www.civilin.org.ge)